

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი N1

დ.მესტია

15/09/2014 წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- კომისიის თავმჯდომარე:
- კაპიტონ ჟორჟოლიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
- კომისიის წევრები:
 - დავით რატიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
 - გურამ ჩართოლიანი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
 - გვანცა ჯაფარიძე - ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი;
 - თემურ ნავერიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ;
 - კომისიის აპარატის წევრები:
 - მარიამ ნაკანი - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
 - ბექა მერლანი - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გამოცხადებული N1336 კონკურსი.

მარატი ფარჯანის სახელობის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციის

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-ზე განაცხადი შემოიტანა ერთმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის შპს „პეგა 61“-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის შპს „პეგა 61“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს

და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლით“ განსაზღვრულ მონაცემებს.

შპს „პეგა 61“-ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გამოცდილება და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 935 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 900 (ცხრაასი) ლარი.


კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა, რომ შპს „პეგა 61“, გამოვლინდეს გამარჯვებულად N1336 კონკურსში თანხით 900 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე:


კ. ჯორჯოლიანი

კომისიის წევრები:


დ. რატიანი


გ. ჩართოლანი


გ. ჯავარიძე


თ. ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები:


მ. ნაკანი


ბ. მერლანი